ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2024 | No. 5, 131-152

ISSN2667-9825(online)

ღირებულებებს, ცხოვრებით კმაყოფილებასა და ფინანსურ მდგომარეობას შორის კავშირი თბილისში მაცხოვრებელსა და რეგიონიდან ჩამოსულ ქართველ სტუდენტებში[1]

მარიამ ცუხიშვილი, ელენე გოგოლაძე

გავლენებისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

Connection between basic values, satisfaction with life and financial condition in Georgian students living in Tbilisi and students coming from regions of Georgia

Mariam Tsukhishvili, Elene Gogoladze

Students of Graduate program Psychology of Influence and Communication

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Psychology and Educational sciences

[1]„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

კვლევა ორიენტირებულია დაადგინოს კავშირი ინდივიდის ბაზისურ ღირებულებებს, ცხოვრებით კმაყოფილებასა და ფინანსურ მდგომარეობას შორის თბილისში მცხოვრებ და რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებში. კვლევაში გამოყენებული იყო შვარცის ღირებულებების (Schwartz, 1992) კითხვარი და ასევე ცხოვრებით კმაყოფილების კითხვარი (Diener et al., 1985). კვლევის ფარგლებში თვითადმინისტრირებადი კითხვარი შეავსო 101-მა ქართველმა სტუდენტმა. მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველ სტუდენტებში ცხოვრებით კმაყოფილებას უარყოფითი კორელაცია აქვს კონსერვაციის ღირებულებასთან. მსგავსი მიმართება ვლინდება რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებთან და ასევე დაბალი მატერიალური მდგომარეობის პირობებში მყოფ სტუდენტებთან. არცერთ სხვა მაღალი რანგის ღირებულებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის სტატისტიკური კავშირი არ გამოვლინდა. მიღებული შედეგებით ნაწილობრივ გამართლდა კვლევაში წარმოდგენილი ერთი ჰიპოთეზა. აღნიშნულ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს, ერთი მხრივ, ის ამდიდრებს სამეცნიერო ცოდნას ღირებულებებისა და ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის კვლევით საფუძველს სტუდენტებში მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ინტერვენციების ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ღირებულებები, ცხოვრებით კმაყოფილება, ქართველი სტუდენტები, ფინანსური მდგომარეობა*

ISSN2667-9825(online)

Abstract

The Study aims to examine connection between individual's basic values, satisfaction with life and financial condition in Georgian students living in Tbilisi and students coming from regions of Georgia. In the study was used Schwartz Values Questionnaire (Schwartz, 1992) and Life Satisfaction Questionnaire (Diener et al., 1985). Self-administration questionnaire was filled by 101 Georgian students. As a result of analyzing data, it was revealed that in Georgian students satisfaction with life and conservation is negatively related. Same connection was revealed in students coming from regions and in students living in poor financial conditions. There were no statistical relations between other high ranking values and satisfaction with life. According to these results, one research hypothesis was partially accepted. The study has theoretical and practical implications – on the one hand, it enriches scientific knowledge about values and satisfaction with life and on the other hand, makes theoretical foundations for developing interventions to improve students' mental health condition.

Key words: *values, life satisfaction, Georgian students, financial condition*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

ღირებულებებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის კავშირის გამოსაკვლევად ჩატარებულია მრავალი კვლევა (Bobowik et al., 2011; Joshanloo & Ghaedi, 2009; Sagiv et al., 2015). ავტორების მიხედვით, გარემო, რომელშიც ინდივიდი მიჰყვება თავის ღირებულებებს, გავლენას ახდენს ღირებულებებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის კავშირზე (Sagiv & Schwartz, 2000). ღირებულება-გარემოს შესაბამისობა გულისხმობს იმას, რომ ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, როდესაც მათი გარემო საშუალებას აძლევთ მისდიონ და იცხოვრონ საკუთარი ღირებულებების მიხედვით (Sagiv et al., 2015; Sagiv & Schwartz, 2000). მნიშვნელოვანია გარემოს კონკრეტული მახასიათებლების გამოკვეთა, რომელიც აშუალებს ღირებულებებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის კავშირს. ავტორთა ჯგუფმა გამოყო ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც გამაშუალებელი ფაქტორი ღირებულებებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის (Sortheix & Lonnqvist, 2013). აღმოჩნდა, რომ ის, თუ რომელი ღირებულების მიხედვით ცხოვრება ზრდის ინდივიდის ცხოვრებით კმაყოფილებას დაკავშირებულია ინდივიდის საცხოვრებელი ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

1. ღირებულებები

ღირებულებები არის ბაზისური ინდივიდუალური მოტივაციები (Schwartz, 1992) და ინტერნალიზებულია, როგორც სოციალური ინსტიტუტების მიერ დანერგილი კულტურული პრაქტიკები (Rokeach, 1973). ღირებულებები განსაზღვრავენ იმას, თუ რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დროში და სხვადასხვა სიტუაციაში სტაბილური (Schwartz, 1992). ისინი განსაზღვრავენ არჩევანებს და ქცევას (Bardi & Schwartz, 2003; Lonnqvist et al., 2006). შვარცი განასხვავებს 10 ბაზისურ ღირებულებას, რომლებიც განსხვავდება მისი მოტივაციური შინაარსით და ჯგუფდება ოთხი მაღალი რიგის ღირებულებად: თვითტრანსცენდენტურობა (უნივერსალიზმი და კეთილგანწყობა) თვითგაძლიერების (ძალაუფლება და მიღწევა) წინააღმდეგ და ღიაობა ცვლილებებისადმი (სტიმულაცია, ავტონომიური მოქმედება და ჰედონიზმი), კონსერვაცია (ტრადიცია, კონფორმულობა, უსაფრთხოება). 60 ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა 200-მა კვლევამ დაადასტურა ათი ღირებულების არსებობა (Sagiv & Schwartz, 1995; Schwartz, 1992; Schwartz et al., 2001). გარკვეული დროის განმავლობაში ბაზისური ღირებულებები სტატისტიკურად დაიხვეწა და გახდა 19 ღირებულება, რომელიც სტრუქტურირებულია წრის სახით მის ურთიერთკავშირებზე დაფუძნებით, თავსებადი ღირებულებები არის წრის ერთ მხარეზე მოცემული და დაპირისპირებული ღირებულებები წრის სხვადასხვა მხარეს (Schwartz et al., 2012).

თვითტრანსცენდენტურობასა და თვითგაძლიერებას შორის კონტრასტი შეიძლება შედარებული იყოს გარეგან და შინაგან ღირებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ

ISSN2667-9825(online)

ისინი არ არიან სინონიმები. შინაგანი და გარეგანი ღირებულებები ადამიანის ღირებულებების ფართოდ ცნობილი აღწერებია და გამოყენებულია მისი სუბიექტურ კეთილდღეობასთან ასოციაციების საკვლევად (Lekes et al., 2010; Schmuck et al., 2000). შინაგანი ღირებულებები შეიცავს პიროვნულ ზრდას, აფილაციას, საზოგადოებასთან ურთიერთკავშირის გრძნობას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, მაშინ, როდესაც გარეგანი ღირებულებები, როგორიცაა ფინანსური წარმატება, თვითხატი, პოპულარულობა პირდაპირ მიემართება ექსტერნალურ ჯილდოებს (Kasser & Ryan, 1996). ინტრინსიკული ღირებულებები ექსტრინსიკულ ღირებულებებზე მეტად უკავშირდება ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებსა და წარმატებას.

ყველა ადამიანს აქვს ღირებულებები, რომელებიც მნიშვნელოვნების მიხედვით განსხვავდება. კონკრეტული ღირებულება შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ერთი ადამიანისთვის, თუმცა არა – მეორესთვის.

2. ცხოვრებით კმაყოფილება

ცხოვრებით კმაყოფილება წარმოადგენს ადამიანის კოგნიტურ და გლობალურ შეფასებას მისი მთლიანი ცხოვრების ხარისხით (Pavot & Diener, 1993). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად მოსწონს ადამიანს საკუთარი ცხოვრება. დინერის, ემონსის, ლარსენისა და გრიფინის მიხედვით, ცხოვრებით კმაყოფილება არის ინდივიდის მთელი ცხოვრების დადებითი შეფასება ინდივიდის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (Diener et al., 1985).

ახალგაზრდებში ცხოვრებით კმაყოფილების შესწავლა მოითხოვს ყოვლისმომცველ ცოდნას მრავალი ფაქტორის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები საკუთარ ცხოვრებას (Forste & Moore, 2012). ამრიგად, იმის გასაგებად თუ რა იწვევს ცხოვრებით კმაყოფილებას, უნდა მოხდეს მოზარდებსა და გარემო ფაქტორებს შორის რთული ურთიერთქმედების გამოკვლევა. სამწუხაროდ, ამ სფეროში ლიტერატურა მწირია. ახალგაზრდის ცხოვრებით კმაყოფილების კვლევის ნაკლებობა გარკვეულწილად გასაკვირია, რადგან დღევანდელი საზოგადოება ასეთ დიდ აქცენტს აკეთებს ახალგაზრდობაში კეთილდღეობის განვითარებაზე.

ცხოვრებით კმაყოფილების მაღალ მაჩვენებელს უამრავი დადებითი ეფექტი აქვს. კროსსექციური, ლონგიტუდური და ექსპერიმენტული მონაცემები ცხადყოფს, რომ კეთილდღეობამ და ცხოვრებით კმაყოფილებამ შეიძლება გამოიწვიოს პოზიტიური პიროვნული, ქცევითი, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგები (Lyubomirsky et al., 2005). პოზიტიური ფსიქოლოგიის, ჯანმრთელობის ხელშემწყობი პერსპექტივის გაჩენის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ცხოვრებით კმაყოფილების ფსიქოლოგიის მიმართ. ამან გამოიწვია ახალი და

ISSN2667-9825(online)

ინფორმაციული კვლევა ცხოვრებით კმაყოფილების მიზეზების, მასთან ასოცირებული ფაქტორების და შედეგების შესახებ (Kesebir & Diener, 2008; Lyubomirsky et al, 2005).

ცხოვრებით კმაყოფილება ზოგადი კეთილდღეობისა და პოზიტიური ფუნქციონირების ერთ-ერთი ყველაზე კარგად ჩამოყალიბებული მაჩვენებელია (Suldo, Huebner, Friedrich, & Gilman, 2009). მაშინ, როცა ბედნიერება შეიძლება გავიგოთ, როგორც პოზიტიური განწყობის მოკლევადიანი გამოცდილების ასახვა (Helliwell & Putnam, 2004), ცხოვრებით კმაყოფილება მოიცავს მთლიანი ცხოვრების გრძელვადიან შეფასებას (Diener, 1984). ტრადიციულად, ცხოვრებით კმაყოფილება არის რაციონალური შედარება იმის, თუ რა აქვთ რეალურად ადამიანებს, რას ფიქრობენ რომ იმსახურებენ, რას ელიან ან რისკენ მიისწრაფვიან (Campbell, Converse, & Rodgers, 1976).

ადრეული კვლევები ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ ზრდასრულებში ფოკუსირებული იყო ცხოვრებით კმაყოფილების კორელაციაზე ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა პიროვნული მახასიათებლები, დემოგრაფიული მონაცემები, გარემო ფაქტორები (Huebner et al., 2004). ამის საპირისპიროდ, შემდგომი კვლევებით ცდილობდნენ, ეჩვენებინათ ცხოვრებით კმაყოფილების განვითარება და გამოევლინათ კონკრეტული ცვლადები ამ კლასტერებში, რომლებიც საუკეთესოდ პროგნოზირებენ ცხოვრებით კმაყოფილებას (Huebner et al., 2004; Suldo & Huebner, 2004). მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრებით კმაყოფილება სტატისტიკურად არის დაკავშირებული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შეფასებებთან, არ არის დადგენილი, რომ ცხოვრებით კმაყოფილება მიზეზობრივად განისაზღვრება ამ ქვეშეფასებებით (Veenhoven, 1996).

3. ღირებულებებსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირი

ღირებულებების მიხედვით ცხოვრება აუმჯობესებს მენტალურ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას, მიუხედავად ღირებულებების შინაარსისა (Hayes et al., 2006; Strosahl et al., 2004). ამის საპირისპიროდ, სხვა კვლევების მიხედვით, ე.წ. ჯანსაღი ღირებულებების პრიორიტეტად მიჩნევა უზრუნველყოფს ჯანმრთელობის შენარჩუნებას (Bobowik et al., 2011). ეს ჯანსაღი ღირებულებები შეესაბამება შვარცის ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებებს, რომელიც მიემართება ინდივიდების ავტონომიის, კომპეტენციის, დაკავშირებულობის ინტრინსიკულ მოთხოვნილებებს (Kasser & Ahuvia, 2002; Sagiv & Schwartz, 2000; Vansteenkiste et al., 2006). რაიანის და დეცის თვითდეტერმინაციის თეორიის მიხედვით, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განაპირობებს ფსიქოლოგიურ ზრდას და თვითაქტუალიზაციას, რაც დაკავშირებულია მენტალურ ჯანმრთელობასთან (Bobowik et al., 2011).

ISSN2667-9825(online)

პიროვნული ღირებულებების მიხედვით ცხოვრება ზრდის კარგად ყოფნის განცდას და აძლევს ადამიანებს ცხოვრებაში ორიენტაციასა და მნიშვნელობას (Boer & Fischer, 2013). ლოგოთერაპიის ავტორის, ფრანკლის თანახმად, საკუთარი ღირებულებების მიხედვით ცხოვრება იწვევს 1) იმის გაცნობიერებას, თუ რა არის შენთვის ღირებული; 2) შეძლო ამ ღირებულების მიხედვით ცხოვრება ყოველდღიურობაში. მიჩნეულია, რომ ინდივიდუალური ღირებულებების მნიშვნელობის გაცნობიერება და რეალიზაცია აუმჯობესებს მენტალურ ჯანმრთელობას (Frankl, 2010). ევოლუციური პერსპექტივიდან პიროვნული ღირებულებები არის სოციალური და კულტურული ღირებულებების ინტერნალიზაციის შედეგი (Caprara et al., 2006). ინდივიდის სოციალური იდენტობის ნაწილად ქცევასთან ერთად პიროვნული ღირებულებების გადამუშავება იწვევს სოციალურ აფილაციას (Caprara et al., 2003). აღნიშნული პერსპექტივიდან ინდივიდუალური ღირებულებების გადამუშავების პროცესში პრობლემები იწვევს იდენტობის პრობლემებს, სოციალური აფილაციის სისტემის პრობლემებსა და გაზრდილ მოწყვლადობას მენტალური ჯანმრთელობის მიმართ.

4. ღირებულებებს, ცხოვრებით კმაყოფილებასა და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის კავშირი

ღირებულებებს, ცხოვრებით კმაყოფილებასა და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის კავშირის შესახებ მეცნიერებმა – სორთჰაიქსმა და ლონქვისთმა – მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარეს (Sortheix & Lönnqvist, 2013). კვლევა საკმაოდ საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან განავრცო ღირებულება-გარემოს კავშირის შესახებ კვლევები, რომელთა მიხედვითაც, ღირებულება-გარემოს შესაბამისობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ ღირებულების რომელი ტიპი დაუკავშირდება პოზიტიურად კარგად ყოფნის განცდას. სორთჰაიქსმა და ლონქვისთმა აღნიშნულ მიდგომას დაამატეს ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლადი და იკვლიეს ის შესაძლებლობები, რომლებსაც კონკრეტული ქვეყნები მათ მოქალაქეებს სთავაზობენ, რათა მისდიონ საკუთარ ღირებულებებს და ამით გაზარდონ ღირებულება-გარემოს შესაბამისობა და, ამდენად, კარგად ყოფნის განცდაც. ავტორთა მიხედვით, ის, თუ რამდენად შეძლებს ინდივიდი, იცხოვროს საკუთარი ღირებულებების მიხედვით გარკვეულწილად დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე. მათს კვლევაში ავტორებმა გამოიყენეს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), რათა გაეზომათ ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. HDI მოიცავს ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების, განათლებასთან ხელმისაწვდომობის, ღირსეულად ცხოვრების სტანდარტების საზომებს. ინდექსი აღწერს იმას, თუ რამდენად ახერხებს სახელმწიფო მისი მოქალაქეებისთვის კარგი საცხოვრებელი პირობების შექმნას და ხშირად გამოიყენება ცხოვრების ხარისხის გასაზომად. HDI ადეკვატურად აღწერს ზოგად, გრძელვადიან ცხოვრებისეულ სიტუაციებს,

ISSN2667-9825(online)

რომელიც ძლიერადაა დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან (Diener et al., 2010). ავტორები მოელოდნენ, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (დასავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორიცაა, ნორვეგია და შვეიცარია) სოციალურად ფოკუსირებული ღირებულებები (უნივერსალურობა, კეთილგანწყობა, ტრადიცია, კონფორმულობა) პოზიტიურად იქნება დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ხოლო ამავე ქვეყნებში თვითგაძლიერებასთან ასოცირებული ღირებულებები (მიღწევა, ძალაუფლება) ნეგატიურად დაუკავშირდება ცხოვრებით კმაყოფილებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ ხანგრძლივი დემოკრატიები ძლიერი დაცვის სისტემებით, რომლებიც მოქალაქის ბაზისურ საცხოვრებელ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ასეთ კარგ პირობებში სხვებთან ერთად ჩართვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, უკეთესი სტრატეგია იყოს კარგად ყოფნისთვის. მართლაც, როდესაც ბაზისური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, ინტერპერსონალური ურთიერთობები და სოციალური კაპიტალი ხდება ძალიან რელევანტური ინდივიდის ბედნიერებისთვის (Diener & Seligman, 2004; Helliwell & Putnam, 2004). უნივერსალიზმი და კეთილგანწყობა არის ღირებულებები, რომლებიც, მათ დეფინიციებზე დაყრდნობით, შეესაბამება ისეთ გარემოს, რომელშიც სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა არის დაწინაურებული. ტრადიციისა და კონფორმულობის ღირებულებები უკავშირდება პროსოციალურ მოტივაციას (Schwartz, 2006) და მიესადაგება ასეთ გარემოს. ეს ორი ღირებულება დაკავშირებულია ინსტიტუციების ნდობასთან (Morselli et al., 2012), რაც უკავშირდება ამ ინსტიტუციების „სიკეთეების“ მიერ მოტანილ ბედნიერებას. პიროვნული მიღწევისა და სხვებზე დომინანტობის (ძალაუფლების) ღირებულებები დასავლურ და განვითარებულ სახელმწიფოებში ნაკლებად კარგად ყოფნის განცდასთანაა დაკავშირებული (Bilsky & Schwartz, 1994). ავტორები ვარაუდობდნენ, რომ თვითგაძლიერების ღირებულებები ნეგატიურად იქნებოდა დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში. ეს ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, როგორებშიც არასტაბილური გარემოა. იმ ქვეყნებში, რომლებშიც დიდი სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს, როგორიცაა, პოსტკომუნისტური ქვეყნები, საჭიროა ახალ ცხოვრებისეულ პირობებთან, სოციალურ როლებთან, ნორმებთან ადაპტაცია. ცვლილებებისადმი ღიაობის ეს ღირებულებები მეტად დაკავშირებულია კარგად ყოფნის განცდასთან დაბალი HDI-ს მქონე ქვეყნებში. ისეთი მიზნები, როგორებიცაა, კარიერაში პროგრესი და მაღალი სოციალური სტატუსი (მიღწევა), სიმდიდრის მოპოვება (ძალაუფლება), ფუნდამენტურია, რომ ადამიანმა დაიკმაყოფილოს ბაზისური საჭიროებები და შეიქმნას ფინანსური უსაფრთხოება საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. კვლევების თანახმად, ფინანსური კმაყოფილება კარგად ყოფნის ძლიერი პრედიქტორია ღარიბი ქვეყნების მოსახლეობაში (Oishi et al., 1999). კვლევა, ასევე, აჩვენებს, რომ მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაზე ზრუნვა ნეგატიურადაა დაკავშირებული კარგად ყოფნის განცდასთან მდიდარ ქვეყნებში (Dittmar, 2008).

ISSN2667-9825(online)

მკვლევრების აზრით, სოციალურად ფოკუსირებული ღირებულებები ნეგატიურად იქნება ცხოვრებით კმაყოფილებასთან დაკავშირებული დაბალი HDI-ს მქონე ქვეყნებში. უნივერსალიზმიც ნეგატიურად იქნება დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ვინაიდან დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის დროს ინდივიდებს არ აქვთ რესურსები, რომ იფიქრონ უნივერსალიზმზე, ისინი ორიენტირებულნი არიან თვითგადარჩენაზე, ამდენად, თვითგაძლიერების ღირებულებას მეტად მიჰყავს ამ შემთხვევაში ინდივიდები ცხოვრებით კმაყოფილების გაზრდილ მაჩვენებლამდე. ავტორებმა ეს ჰიპოთეზები შეამოწმეს 25 ქვეყნის მაგალითზე და უმეტესი ჰიპოთეზა დადასტურდა.

მიმდინარე კვლევა

მიმდინარე კვლევის ფარგლებში ვაგრძელებთ სორთჰაიქსისა და ლონქვისთის შემოთავაზებულ მიდგომას – ღირებულებებსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირის გამაშუალებელი გარემო ფაქტორების კვლევას, თუმცა ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ნაცვლად დავინტერესდით ინდივიდთა პირადი ფინანსური მდგომარეობის წვლილითა და მისი საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა და არდატოვების მდგომარეობით. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ქართველი სტუდენტები, რომლებიც რეგიონიდან არიან ჩამოსულნი მეტი გამოწვევისა და დაბრკოლების წინაშე იმყოფებიან, ამდენად, მათი გარემო განსხვავდება თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტებისგან, რომელთაც არ უწევთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია, უფროსების გარეშე ცხოვრებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების თავის თავზე აღება და საცხოვრებელთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებთან გამკლავება. ვინაიდან აღნიშნული ორი ჯგუფის გარემო ერთმანეთისგან განსხვავდება, ღირებულებები, რომელთაც ისინი ცხოვრებაში მისდევენ უნდა იყოს განსხვავებული, რათა მათ ჰქონდეთ ცხოვრების კმაყოფილების გაზრდილი მაჩვენებელი. აღნიშნულ ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბეთ ორი ჰიპოთეზა:

ჰიპოთეზა N1:

რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებში ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვითგაძლიერების ღირებულებები დადებითად უნდა კორელირებდეს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელთან, ხოლო თვითტრანსცედენტურობისა და კონსერვაციის ღირებულებები ნეგატიურად უნდა უკავშირდებოდეს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელს.

ISSN2667-9825(online)

ჰიპოთეზა N2:

თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტების შემთხვევაში კონსერვაცია და თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებები პოზიტიურად უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ხოლო ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვითგაძლიერების ღირებულებები ნეგატიურ კავშირში უნდა იყოს ცხოვრებით კმაყოფილებასთან.

აღნიშნული ჰიპოთეზის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტების გარემოს ანალიზი, კერძოდ, მათ უწევთ უფროსებთან ერთად თანაცხოვრება, მათი ღირებულებებისთვის პატივისცემა და გაზიარება (შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ უნდა ჰქონდეთ მაღალი კონსერვაცია), ასევე, აქვთ ნაკლები თავგადასავლები და უწევთ ნაკლებ სიახლესთან ადაპტირება (ვვარაუდობთ, რომ ცვლილებებისადმი ღიაობა და თვითგაძლიერება უნდა ჰქონდეთ დაბალი) და, ასევე, მათ არ უწევთ საცხოვრებელთან დაკავშირებული ფინანსების გაღება, მარტო ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, შესაბამისად, მეტი დრო და რესურსი რჩებათ თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებებისთვის, როგორებიცაა, უნივერსალიზმი და კეთილგანწყობა. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ სორთჰაიქსისა და ლონქვისთის კვლევის მსგავსი შედეგები უნდა მივიღოთ, თუმცა ამ შემთხვევაში დაბალი და მაღალგანვითარებული ქვეყნების ნაცვლად გვაქვს ქართველ სტუდენტებს შორის შიდა მიგრაციის შედეგად გამოწვეული განსხვავებები, რომლებიც ზემოქმედებს როგორც მათ ღირებულებებზე, ისე მათ ცხოვრებით კმაყოფილებასა და, ზოგადად, ღირებულებებსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირზე.

კვლევის მეთოდი

მონაწილეები

კვლევაში ჩართული იყო ხელმისაწვდომი შერჩევიდან სტუდენტის სტატუსის მქონე 101 ქართველი სტუდენტი (ბაკალავრიატის სტუდენტი – 63, მაგისტრატურის სტუდენტი – 37, დოქტორანტურის სტუდენტი – 1). მათგან 73 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 28 – მამრობითი სქესის. რესპონდენტების საშუალო ასაკი იყო 22.5 წელი.

ISSN2667-9825(online)

კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები:

დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი:

შეფასდა შემდეგი დემოგრაფიული მონაცემები: სქესი, ასაკი, განათლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), საცხოვრებელი ადგილი, რეგიონიდან თბილისში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაცია და ფინანსური მდგომარეობა.

ღირებულებები

ღირებულებების გასაზომად გამოყენებულია შვარცისა და მისი კოლეგების ღირებულებების საზომი კითხვარის – Portrait Values Questionnaire-Revised (PVQ-RR) – ქართველ მოსახლეობაზე ადაპტირებული ვერსია (Scwartz et al., 2012; ჯავახიშვილი et al., 2016). კითხვარი შედგება 57 დებულებისგან, რომლებიც ერთიანდება 19 ქვესკალაში და ზომავს 19 ღირებულებას. აღნიშნული 19 ღირებულება კი ჯგუფდება და წარმოქმნის ოთხი მაღალი რანგის ღირებულებას: თვითტრანსცენდენტურობა, თვითგაძლიერება, ღიაობა ცვლილებებისადმი, კონსერვაცია. ინდივიდს დებულებების სახით წარედგინება სხვადასხვა ადამიანის მოკლე დახასიათება, მაგალითად: „მისთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებლად ჩამოიყალიბოს შეხედულებები; მისთვის მნიშვნელოვანია მისი ქვეყანა იყოს უსაფრთხო და სტაბილური“ და მან უნდა შეაფასოს რამდენად ჰგავს ან არ ჰგავს ეს ადამიანი. დებულებები ფასდება ლაიკერტის ტიპის სკალით, რომელზეც 1 ნიშნავს საერთოდ არ მგავს, ხოლო 6 – ძალიან მგავს.

ცხოვრებით კმაყოფილება

ცხოვრებით კმაყოფილების გასაზომად გამოყენებულია ცხოვრებით კმაყოფილების კითხვარი (Diener et al., 1985). კითხვარი შედგება 5 დებულებისგან, რომლებიც შექმნილია ისე, რომ გაიზომოს გლობალური კოგნიტური მსჯელობა ინდივიდის საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ. ინდივიდს წარედგინება შემდეგი სახის დებულებები: „ძირითადად ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება ჩემი იდეალური ცხოვრების ვარიანტთან ახლოსაა“; „ჩემი ცხოვრების პირობები შესანიშნავია“; ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ“... დებულებები ფასდება 7-ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე, რომელზეც 7 ნიშნავს სრულიად ვეთანხმები, ხოლო 1 – საერთოდ არ ვეთანხმები. კითხვარი არის ინგლისურენოვანი, ის ითარგმნა და ქართულ პოპულაციას მოერგო ჩვენ მიერ (α=.75). კვლევაში გამოვიყენეთ ჩვენ მიერ ნათარგმნი ინსტრუმენტი.

ISSN2667-9825(online)

პროცედურა

კვლევის მონაწილეებს ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი კითხვარი გადაეგზავნათ, რომელიც მათ შეავსეს ონლაინ (CAWI მეთოდი). კვლევის მონაცემები იყო სრულად კონფიდენციალური. ინდივიდებს კვლევაში მონაწილეობისთვის არ მიუღიათ ფულადი კომპენსაცია ან სხვა სახის რაიმე ჯილდო. მიღებული მონაცემები გაანალიზდა IBM SPSS 20-ის მეშვეობით.

შედეგები

ცხრილი N1. აღწერითი სტატისტიკა

	M	SD
კონსერვაცია	9.47	1.64
თვითგაძლიერება	6.72	2.58
ღიაობა ცვლილებებისადმი	9.25	1.32
თვითტრანსცენდენტურობა	10.53	1.55
კმაყოფილება	20.33	5.63

კორელაციური ანალიზი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ ცხოვრებით კმაყოფილებასა და კონსერვაციის ღირებულებას შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, კერძოდ, კონსერვაცია და ცხოვრებით კმაყოფილება ქართველ სტუდენტებში უარყოფითად საშუალოდ კორელირებს – r=-.284. არცერთ სხვა მაღალი რანგის ღირებულებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის სტატისტიკური კავშირი არ გამოვლინდა. ამასთანავე, კონსერვაცისა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის უარყოფითი საშუალო კორელაციის კოეფიციენტის მაჩვენებელი დაფიქსირდა რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების შემთხვევაში – r=-.329. თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტების შერჩევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი კონსევარციასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის არ გამოვლინდა – r=-

ISSN2667-9825(online)

.239. ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების ჯგუფისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების ჯგუფის გამოყოფის შემდეგ და მათი მონაცემების შედარებისას გამოვლინდა, რომ კონსერვაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უარყოფითადაა დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებში, ხოლო მაგისტრატურის საფეხურისთვის მსგავსი კავშირი არაა. გამოიკვეთა სქესთაშორისი განსხვავებებიც, მდედრობითი სქესის სტუდენტებში კონსერვაცია უარყოფითად კორელირებს ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტებში – არა. მატერიალური მდგომარეობის მიხედვით დიფერენცირებისას აღმოჩნდა, რომ დაბალი მატერიალური მდგომარეობის პირობაში ფინანსები საკმარისია ტანსაცმლისთვის და საკვებისთვის, მაგრამ არა ძვირადღირებული ნივთებისთვის – კონსერვაცია ძლიერ უარყოფითად კორელირებს ცხოვრებით კმაყოფილებასთან. მსგავსი მიმართება არაა მაღალი მატერიალური მდგომარეობის პირობებში. ფინანსების შეუზღუდავი არსებობის პირობებში ძლიერი უარყოფითი კორელაციაა ცხოვრებით კმაყოფილებასა და ცვლილებებისადმი ღიაობას შორის.

ISSN2667-9825(online)

დისკუსია

მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად დადასტურდა პირველი ჰიპოთეზის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების შემთხვევაში კონსერვაციის ღირებულება უარყოფითი კორელაციით უნდა მიემართებოდეს ცხოვრებით კმაყოფილებას. თბილისში მცხოვრები სტუდენტების შემთხვევაში მსგავსი კავშირი არ დასტურდება. კონსერვაციის ღირებულება აერთიანებს შემდეგ ქვეღირებულებებს - პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ტრადიცია, კონფორმულობა-წესები, ინტერპერსონალური კონფორმულობა. მიღებული შედეგები შეგვიძლია, დავუკავშიროთ საგივისა და შვარცის მითითებას მასლოუს მათხოვნილებათა იერარქიაზე და ბილსკისა და შვარცის კონცეპტს ზრდისა და დეფიციტის ღირებულებების შესახებ, რომლებიც „ჯანმრთელ“ ღირებულებებს „არაჯანმრთელი“ ღირებულებებისგან ასხვავებდნენ (Sagiv & Schwartz, 2000; Bilsky & Schwartz, 1994). ავტორთა მიხედვით, ზრდის ღირებულებები, როგორიცაა, ავტონომიური მოქმედება, სტიმულაცია, მიღწევა, უნივერსალიზმი, კარგად ყოფნის განცდას ამაღლებს, რადგან უკავშირდება თვითაქტუალიზაციის ზრდას. დეფიციტის ღირებულებები კი, როგორიცაა, კონფორმულობა, ტრადიცია, უსაფრთხოება, ძალაუფლება, ამცირებს კარგად ყოფნის განცდას, ვინაიდან ის ინდივიდების დაკმაყოფილებას ემსახურება საფრთხისა და დაუცველობის პირობებში და არ მიჰყავს თვითაქტუალიზაციისკენ. 101 ქართველ სტუდენტს შორის გამოკვეთილი საშუალო უარყოფითი კორელაცია კონსერვაციასა (რომელიც დეფიციტის ღირებულებებს აერთიანებს) და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის აიხსნება სწორედ კონსერვაციის შემადგენელი ღირებულებების ბუნებით – ისინი საფრთხის, დაუცველობის პირობებში მიმართულია ისეთი ქცევებისკენ, რომლებიც აღადგენს უსაფრთხოებასა და დაცულობას, თვითაქტუალიზაციისკენ კი, რომელიც მასლოუს პირამიდის წვერია, ნაკლებად მიისწრაფვის. აღნიშნული განსაკუთრებით შეინიშნება რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების შემთხვევაში - ახალგაზრდები, რომელთა წამყვანი ღირებულებაც კონსერვაციაა, ცხოვრებით კმაყოფილების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, რადგან ისინი თვითაქტუალიზაციისკენ არ მიისწრაფვიან, უფრო მეტად ორიენტირებული არიან დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე – დაცულობაზე, უსაფრთხოებაზე და მათი ეს ტენდენცია კონსერვაციის ღირებულებით გამოიხატება. მსგავსი ტენდენციაა დაბალი მატერიალური მდგომარეობის დროსაც, როდესაც კონსერვაციასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის ძლიერი უარყოფითი კორელაცია ვლინდება. სტუდენტები, რომელთა ფინანსები მწირია, ორიენტირებული არიან დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და, შესაბამისად, მათი ცხოვრებით კმაყოფილება დაბალია. მაღალი მატერიალური მდგომარეობის პირობებში გამოვლენილი უარყოფითი კავშირი ცხოვრებით კმაყოფილებასა და ცვლილებებისადმი ღიაობას შორის არ თანხვდება სართჰაიქსისა და ლონქვისთის კვლევას, რომელშიც მაღალი სოციო-ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში

ISSN2667-9825(online)

ცვლილებებისადმი ღიაობა დადებითად უკავშირდებოდა ცხოვრებით კმაყოფილებას (Sortheix & Lonnqvist, 2014). შესაძლებელია, აღნიშნული ღირებულების მქონე მაღალი ფინანსური მდგომარეობის სტუდენტები კომფორტის ზონაში არიან – დაბალი აქვთ ცნობისმოყვარეობა, სტიმულაცია და ავტონომიურობასაც აღარ ესწრაფვიან. სორთჰაიქსისა და შვარცის კვლევაში, რომელიც ეძღვნება ღირებულებებსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირს, შემოთავაზებულია მიდგომა, რომელიც შეისწავლის ღირებულებების მოტივაციურ საფუძველს და აჯგუფებს 4 ჯგუფად – პიროვნებაზე ცენტრირებული, სოციალურზე ცენტრირებული, ზრდაზე ცენტრირებული და თვითდაცვაზე ცენტრირებული (Sortheix & Schwartz, 2017). ავტორებმა ივარაუდეს, რომ კონფორმულობა, უსაფრთხოება, ტრადიცია სოციალურად ორიენტირებული თვითდაცვითი ღირებულებებია და უარყოფითად უკავშირდება ცხოვრებით კმაყოფილებას. მათი ეს ჰიპოთეზა დადასტურდა. მიმდინარე კვლევა ქართველ სტუდენტებზეა ჩატარებული. სტუდენტებისთვის უმთავრესი მოტივაცია თვითგანვითარება და თვითაქტუალიზაციაა (Dmitrienko et al., 2017), რადგან მათი ასაკობრივი განვითარების ძირითადი ამოცანა განათლების მიღებაა, შესაბამისად, ზრდაზე ორიენტირებული პიროვნული ღირებულებები პოზიტიურად უნდა კორელირებდეს ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ხოლო დეფიციტური და სოციალურად ორიენტირებული ღირებულებები უარყოფითად უნდა უკავშირდებოდეს ცხოვრებით კმაყოფილებას. ეს უკანასკნელი ჩვენს კვლევაში დადასტურდა, ხოლო პირველი მათგანის შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა. განსხვავება, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა განათლების საფეხურების მიხედვით, კერძოდ, ბაკალავრიატის საფეხურზე კონსერვაცია უარყოფითად უკავშირდება ცხოვრებით კმაყოფილებას, ხოლო მაგისტრატურაზე – არა, შეგვიძლია, ავხსნათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტის ხელთარსებული განსხვავებული რაოდენობის რესურსით, ვინაიდან მაგისტრატურის სტუდენტს უკვე მოპოვებული აქვს ბაკალავრის დიპლომი, მას დასაქმების მეტი შესაძლებლობა გააჩნია, შედეგად, იზრდება დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ალბათობა და იზრდება ზრდის მოთხოვნილებების წინა პლანზე გადმოწევის შესაძლებლობა – იზრდება თვითაქტუალიზაციისკენ სწრაფვის ტენდენცია და, შესაბამისად, ცხოვრებით კმაყოფილება. აღმოჩენილი სქესთაშორისი განსხვავებები, კერძოდ, მდედრობითი სტუდენტების შემთხვევაში კონსერვაციის უარყოფითი კავშირი კარგად ყოფნის განცდასთან, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტების შემთხვევაში მსგავსი კავშირის არარსებობა, შესაძლებელია, აიხსნას გენდერული თანასწორობა/უთანასწორობის მდგომარეობისას სქესთა შორის ღირებულებებს შორის განსხვავებებით. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ღიაობა ცვლილებებისადმი და თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებების ქონა ზრდის გენდერულ თანასწორობასა და გაზიარების მიდრეკილებას, ხოლო თვითგაძლიერება და კონსერვაცია ამცირებს (Schwartz & Rubel-Lifschitz, 2009). კონსერვაციის

ISSN2667-9825(online)

ღირებულების არსებობის პირობებში მდედრობითი სქესის სტუდენტებს შესაძლოა, შემცირებული აქვთ გენდერული თანასწორობის აღქმა, რაც მათ შემცირებულ ცხოვრებით კმაყოფილებას განაპირობებს, ვინაიდან არსებობს კვლევაზე დამყარებული მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, გენდერული თანასწორობა სუბიექტური კარგად ყოფნის განცდას ზრდის (Audette et al., 2019).

დასკვნა

ამრიგად, კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველ სტუდენტებში ცხოვრებით კმაყოფილება უარყოფითად კორელირებს კონსერვაციის ღირებულებასთან. ხაზგასასმელია, რომ ეს შედეგები ფიქსირდება მხოლოდ იმ სტუდენტებთან, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი სწავლის დაწყებისას. მაშასადამე, ნაწილობრივ დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებში ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვითგაძლიერების ღირებულებები დადებითად უნდა მიემართებოდეს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელს, ხოლო თვითტრანსცენდენტურობისა და კონსერვაციის ღირებულებები ნეგატიურად უნდა კორელირებდეს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელთან. არ დადასტურდა მეორე ჰიპოთეზა - თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტების შემთხვევაში კონსერვაცია და თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებები პოზიტიურად უნდა უკავშირდებოდეს ცხოვრებით კმაყოფილებას, ხოლო ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვითგაძლიერების ღირებულებები ნეგატიურად უნდა კორელირებდეს ცხოვრებით კმაყოფილებასთან. მიმდინარე კვლევის მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაბალი მატერიალური მდგომარეობის პირობებში კონსერვაციისა დსა ცხოვრებით კმაყოფილების კავშირი მეტად უარყოფითია. შედეგები აიხსნება იმით, რომ ახალგაზრდები, რომელთა წამყვანი ღირებულებაც კონსერვაციაა, თვითაქტუალიზაციისკენ ნაკლებად მიისწრფვიან, უფრო მეტად ორიენტირებული არიან დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე – დაცულობაზე, უსაფრთხოებაზე და მათი ეს ტენდენცია კონსერვაციის ღირებულებით გამოიხატება. სტუდენტებს უწევთ, გაუმკლავდნენ უამრავ გამოწვევას, განსაკუთრებით კი, მათ, ვინც საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. ეს გამოწვევები დაკავშირებულია ახალ გარემოსთან ადაპტირებასთან, სოციალიზაციასთან ახალ საზოგადებაში, გაზრდილი დამოუკიდებლობის შედეგად საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებასთან. ეს კი დაკავშირებულია მასლოუს მოთხოვნილებათა ქვედა ნაწილის – დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და ნაკლებად უკავშირდება ზედა – ზრდის მოთხოვნილებებს. სტუდენტები, რომლებიც იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, იმდენად დაკავებული არიან დეფიციტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, ვეღარ ახერხებენ სწრაფვას

ISSN2667-9825(online)

თვითაქტუალიზაციისკენ და ზრდის ღირებულებები უკანა პლანზე იწევს. აღნიშნული კი ცხოვრებით კმაყოფილების შემცირებას უკავშირდება.

შეზღუდვები

კვლევისას გამოყენებული იყო "Google Docs". კითხვარის ბმული ეგზავნებოდათ კვლევის მონაწილეებს და პასუხები ავტომატურად ინახებოდა. ონლაინ კვლევას თან ბევრი შეზღუდვა ახლავს. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია მონაწილეთა მოტივაცია, რაც ხშირ შემთხვევაში დაბალია და სათანადო ყურადღებით არ ავსებენ კითხვარს. ასევე, ხშირია სოციალურად მისაღები პასუხების დაფიქსირება, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ კვლევა სრულიად ანონიმური იყო. ხშირია ყურადღების დეფიციტის პრობლემა და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა. ვინაიდან კვლევის პროცესში ვერ კონტროლდებოდა, თუ რა გარემოში ხდებოდა კითხვარის შევსება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარემო პირობები იყო არათანაბარი და ისეთი დაბრკოლებების არსებობამ, როგორიცაა, ხმაური, განათება, ტემპერატურა და ა.შ. შეიძლება გამოიწვიოს ყურადღების გაფანტვა კითხვარის შევსების პროცესში. აღნიშნული ფაქტორები ამცირებს კვლევის სანდოობას. გარდა ამისა, კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 101 ინდივიდმა. აღნიშნული შერჩევის ზომა ძალიან მცირეა იმისთვის, რომ შედეგების გენერალიზაციის საშუალება გვქონდეს. ასევე, არათანაბრადაა რესპონდენტები განაწილებული სქესის, განათლების დონისა და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით.

კვლევის ღირებულება და სამომავლო რეკომენდაციები

სამომავლოდ მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს კვლევები, რომელთა შერჩევის ზომა და მახასიათებლები ისე იქნება განსაზღვრული, რომ გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტატული იყოს და მიღებული შედეგების განზოგადება, გენერალიზაცია მკვლევრებს შეეძლოთ. ამასთანავე, ღირებულებებთან კავშირში ისეთი ცვლადების კვლევაა რელევანტური, როგორიცაა, პიროვნული ნიშნები, პროფესიული ორიენტაცია, სოციალური განწყობები. მსგავსი კვლევები გაამდიდრებს სამეცნიერო ცოდნას ქართველი სტუდენტების შესახებ და ხელს შეუწყობს სპეციალური პროგრამებისა და ინტერვენციების შესამუშავებლად ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავებას, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართველი სტუდენტების ფსიქიკური თუ სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ამდენად, აღნიშნულ კვლევას დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს უნივერსიტეტების ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო თუ სოციალური პოლიტიკის დამგეგმავი სამთავრობო უწყებებისთვის. დღეს საქართველოში

ISSN2667-9825(online)

უნივერსიტეტებში მოქმედებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური ცენტრები (E-PSY), რომელთა მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია ისეთი ემპირიული მტკიცებულებები სტუდენტთა ცხოვრებით კმაყოფილების კორელატების შესახებ, როგორიც მოცემული კვლევა. სამთავრობო უწყებებმა, მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლესი განათლების სისტემაში პოლიტიკის დაგეგმვისას და უნივერსიტეტების ადმინისტრაციებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას სასურველია მხედველობაში მიიღონ სტუდენტთა სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რათა მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტიანი და ხელშემწყობი იყოს სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესისთვის. მოცემული კვლევა შესაძლებელია გახდეს, როგორც ემპირიული მტკიცებულება სტუდენტთა ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ, რასაც დაეფუძნება სხვადასხვა სტრატეგია თუ ინტერვენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

Bobowik, M., Basabe, N., Páez, D., Jiménez, A., & Bilbao, M. Á. (2011). Personal values and well-being among Europeans, Spanish natives and immigrants to Spain: does the culture matter?. *Journal of Happiness Studies*, *12*, 401-419.

Joshanloo, M., & Ghaedi, G. (2009). Value priorities as predictors of hedonic and eudaimonic aspects of well-being. *Personality and individual differences*, *47*(4), 294-298.

Sagiv, L., Roccas, S., & Oppenheim-Weller, S. (2015). Values and well-being. *Positive psychology in practice: Promoting human flourishing in work, health, education, and everyday life*, 103-120.

Sagiv, L., & Schwartz, S. H. (2000). Value priorities and subjective well-being: Direct relations and congruity effects. *European journal of social psychology*, *30*(2), 177-198.

Sortheix, F. M., & Lönnqvist, J. E. (2014). Personal value priorities and life satisfaction in Europe: The moderating role of socioeconomic development. *Journal of Cross-Cultural Psychology*, *45*(2), 282-299.

Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. In *Advances in experimental social psychology* (Vol. 25, pp. 1-65). Academic Press.

Rokeach, M. (1973). *The nature of human values*. Free press.

ISSN2667-9825(online)

Bardi, A., & Schwartz, S. H. (2003). Values and behavior: Strength and structure of relations. *Personality and social psychology bulletin*, *29*(10), 1207-1220.

Lönnqvist, J. E., Leikas, S., Paunonen, S., Nissinen, V., & Verkasalo, M. (2006). Conformism moderates the relations between values, anticipated regret, and behavior. *Personality and Social Psychology Bulletin*, *32*(11), 1469-1481.

Schwartz, S. H., & Sagiv, L. (1995). Identifying culture-specifics in the content and structure of values. *Journal of cross-cultural psychology*, *26*(1), 92-116.

Schwartz, S. H., Melech, G., Lehmann, A., Burgess, S., Harris, M., & Owens, V. (2001). Extending the cross-cultural validity of the theory of basic human values with a different method of measurement. *Journal of cross-cultural psychology*, *32*(5), 519-542.

Schwartz, S. H. (2012). An overview of the Schwartz theory of basic values. *Online readings in Psychology and Culture*, *2*(1), 11.

Lekes, N., Gingras, I., Philippe, F. L., Koestner, R., & Fang, J. (2010). Parental autonomy-support, intrinsic life goals, and well-being among adolescents in China and North America. *Journal of youth and adolescence*, *39*, 858-869.

Schmuck, P., Kasser, T., & Ryan, R. M. (2000). Intrinsic and extrinsic goals: Their structure and relationship to well-being in German and US college students. *Social Indicators Research*, *50*, 225-241.

Kasser, T., & Ryan, R. M. (1996). Further examining the American dream: Differential correlates of intrinsic and extrinsic goals. *Personality and social psychology bulletin*, *22*(3), 280-287.

Diener, E., Larsen, R. J., Levine, S., & Emmons, R. A. (1985). Intensity and frequency: dimensions underlying positive and negative affect. *Journal of personality and social psychology*, *48*(5), 1.

Forste, R., & Moore, E. (2012). Adolescent obesity and life satisfaction: Perceptions of self, peers, family, and school. *Economics & Human Biology*, *10*(4), 385-394.

Lyubomirsky, S., King, L., & Diener, E. (2005). The benefits of frequent positive affect: Does happiness lead to success?. *Psychological bulletin*, *131*(6), 803.

Kesebir, P., & Diener, E. (2008). In pursuit of happiness: Empirical answers to philosophical questions. *Perspectives on psychological science*, *3*(2), 117-125.

Lyubomirsky, S., King, L., & Diener, E. (2005). The benefits of frequent positive affect: Does happiness lead to success?. *Psychological bulletin*, *131*(6), 803.

ISSN2667-9825(online)

Suldo, S. M., Huebner, E. S., Friedrich, A. A., & Gilman, R. (2009). Life satisfaction. In *Handbook of positive psychology in schools* (pp. 27-36). Routledge.

Helliwell, J. F., & Putnam, R. D. (2004). The social context of well–being. *Philosophical Transactions of the Royal Society of London. Series B: Biological Sciences*, *359*(1449), 1435-1446.

Diener, E. (1984). Subjective well-being. *Psychological bulletin*, *95*(3), 542.

Campbell, A., Converse, P. E., & Rodgers, W. L. (1976). *The quality of American life: Perceptions, evaluations, and satisfactions*. Russell Sage Foundation.

Huebner, E. S., Suldo, S. M., Smith, L. C., & McKnight, C. G. (2004). Life satisfaction in children and youth: Empirical foundations and implications for school psychologists. *Psychology in the Schools*, *41*(1), 81-93.

Suldo, S. M., & Huebner, E. S. (2004). Does life satisfaction moderate the effects of stressful life events on psychopathological behavior during adolescence?. *School Psychology Quarterly*, *19*(2), 93.

Veenhoven, R. (1996). Developments in satisfaction-research. *Social indicators research*, *37*, 1-46.

Hayes, S. C., Luoma, J. B., Bond, F. W., Masuda, A., & Lillis, J. (2006). Acceptance and commitment therapy: Model, processes and outcomes. *Behaviour research and therapy*, *44*(1), 1-25.

Strosahl, K. D., Hayes, S. C., Wilson, K. G., & Gifford, E. V. (2004). An ACT primer: Core therapy processes, intervention strategies, and therapist competencies. In *A practical guide to acceptance and commitment therapy* (pp. 31-58). Boston, MA: Springer US.

Kasser, T., & Ahuvia, A. (2002). Materialistic values and well-being in business students. *European journal of social psychology*, *32*(1), 137-146.

Vansteenkiste, M., Lens, W., & Deci, E. L. (2006). Intrinsic versus extrinsic goal contents in self-determination theory: Another look at the quality of academic motivation. *Educational psychologist*, *41*(1), 19-31.

Boer, D., & Fischer, R. (2013). How and when do personal values guide our attitudes and sociality? Explaining cross-cultural variability in attitude–value linkages. *Psychological bulletin*, *139*(5), 1113.

Caprara, G. V., Schwartz, S., Capanna, C., Vecchione, M., & Barbaranelli, C. (2006). Personality and politics: Values, traits, and political choice. *Political psychology*, *27*(1), 1-28.

ISSN2667-9825(online)

Caprara, G. V., Caprara, M., & Steca, P. (2003). Personality's correlates of adult development and aging. *European Psychologist*, *8*(3), 131.

Diener, E., Ng, W., Harter, J., & Arora, R. (2010). Wealth and happiness across the world: material prosperity predicts life evaluation, whereas psychosocial prosperity predicts positive feeling. *Journal of personality and social psychology*, *99*(1), 52.

Diener, E., & Seligman, M. E. (2004). Beyond money: Toward an economy of well-being. *Psychological science in the public interest*, *5*(1), 1-31.

Helliwell, J. F., & Putnam, R. D. (2004). The social context of well–being. *Philosophical Transactions of the Royal Society of London. Series B: Biological Sciences*, *359*(1449), 1435-1446.

Schwartz, S. (2006). A theory of cultural value orientations: Explication and applications. *Comparative sociology*, *5*(2-3), 137-182.

Morselli, D., Spini, D., & Devos, T. (2012, April). Human values and trust in institutions across countries: A multilevel test of Schwartz's hypothesis of structural equivalence. In *Survey Research Methods* (Vol. 6, No. 1, pp. 49-60).

Bilsky, W., & Schwartz, S. H. (1994). Values and personality. *European journal of personality*, *8*(3), 163-181.

Oishi, S., Diener, E., Suh, E., & Lucas, R. E. (1999). Value as a moderator in subjective well-being. *Journal of personality*, *67*(1), 157-184.

Sagiv, L., & Schwartz, S. H. (2000). Value priorities and subjective well-being: Direct relations and congruity effects. *European journal of social psychology*, *30*(2), 177-198.

Sortheix, F. M., & Schwartz, S. H. (2017). Values that underlie and undermine well–being: Variability across countries. *European Journal of Personality*, *31*(2), 187-201.

Schwartz, S. H., & Rubel-Lifschitz, T. (2009). Cross-national variation in the size of sex differences in values: effects of gender equality. *Journal of personality and social psychology*, *97*(1), 171.

Audette, A. P., Lam, S., O'Connor, H., & Radcliff, B. (2019). (E) Quality of life: A Cross-National analysis of the effect of gender equality on life satisfaction. *Journal of happiness studies*, *20*, 2173-2188.

Dmitrienko, N. A., Gorbina, M. A., Porozhnyak, N. F., Trusova, T. V., & Konovalenko, T. G. (2017). Formation of students' professional self-actualization in modern educational environment. *Journal of Social Studies Education Research*, *8*(2), 161-177.

ISSN2667-9825(online)

ჯავახიშვილი, ნ., სხირტლაძე, ნ., ბუწაშვილი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., მაყაშვილი, ა.,ვარდანაშვილი, ი., & შეყრილაძე, ი. (2016). კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია. დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის შრომები. თბილისი:ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.